



იუსტიციის
სამინისტრო

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2004 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Commission of the European Communities v Portuguese Republic*, C-55/02, ECLI:EU:C:2004:605.

მოკლე მიმოხილვა:

საქმე შეეხებოდა ევროპული თანამეგობრობის კომისიის („კომისია“) მიერ პორტუგალიის რესპუბლიკის წინააღმდეგ დარღვევის პროცედურის¹ დაწყებას. კომისიის შეხედულებით, პორტუგალიის რესპუბლიკამ „სამსახურიდან კოლექტიური გათავისუფლების შესახებ წევრ სახელმწიფოთა კანონების დაახლოების თაობაზე“ საბჭოს 1998 წლის 20 ივლისის დირექტივის 98/59/EC („დირექტივა“) ტრანსპოზიცია განახორციელა არასრულად, რადგან ეროვნული კანონმდებლობით „მასობრივი დათხოვნის“ ცნება გაავრცელა მხოლოდ სტრუქტურული, ტექნოლოგიური ან ციკლური მიზეზით გათავისუფლების შემთხვევებზე.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ („სასამართლო“) განმარტა, რომ დირექტივა არ იძლეოდა „დათხოვნის“ ცნების ცალსახა განმარტებას. ამრიგად, დირექტივის მიზნებისთვის, აღნიშნულ ცნებას უნდა მისცემოდა ერთგვაროვანი ინტერპრეტაცია.

სასამართლოს შეფასებით, როგორც დირექტივის სათაურიდან, ისე მისი პრეამბულის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტებიდან გამომდინარეობდა, დირექტივის მიზანი იყო მასობრივი დათხოვნის შესახებ წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოების ხელშეწყობა.

დირექტივის მიზნების გათვალისწინებით სასამართლომ დაასკვნა, რომ „დათხოვნის“ ცნება გულისხმობდა შრომითი ხელშეკრულების ნებისმიერ შეწყვეტას, რომელიც არ იყო მოთხოვნილი დასაქმებულის მიერ და, შესაბამისად, განხორციელდა მისი თანხმობის გარეშე.

საბოლოოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ მასობრივი დათხოვნის ცნების გავრცელება მხოლოდ სტრუქტურული, ტექნოლოგიური ან ციკლური მიზეზით გათავისუფლების შემთხვევებზე არღვევდა დირექტივის პირველი და მე-6 მუხლებით განსაზღვრულ ვალდებულებებს.

მნიშვნელოვანი ამონარიდები გადაწყვეტილებიდან:

43 დირექტივის 1(1)(a)-ელი მუხლის შესაბამისად, „მასობრივი დათხოვნა“ ნიშნავს დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას ერთი ან მეტი ისეთი მიზეზით, რომელიც დაკავშირებული არ არის კონკრეტულ დასაქმებულთან, თუ დაკმაყოფილებულია განსაზღვრული წინაპირობები [დასაქმებულთა] რაოდენობასა და დროის პერიოდებთან დაკავშირებით.

44 დირექტივა არ იძლევა „დათხოვნის“ [ცნების] ცალსახა განმარტებას. თუმცა, დირექტივის მიზნებისთვის, ამ ცნებას უნდა მიეცეს ერთგვაროვანი განმარტება.

45 როგორც თანამეგობრობის კანონმდებლობის ერთგვაროვანი გამოყენების მოთხოვნებიდან, ისე თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ თანამეგობრობის კანონმდებლობის ისეთი დებულების ტერმინებს, რომლებიც მისი მნიშვნელობისა და ფარგლების განსაზღვრის მიზნით პირდაპირ არ მიუთითებს წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაზე, როგორც წესი, უნდა მიეცეს

¹ კომისია უფლებამოსილია, დაიწყო დარღვევის პროცედურა (infringement procedure) ისეთი წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელმაც ვერ უზრუნველყო ევროკავშირის კანონმდებლობის იმპლემენტაცია. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განსახილველად გადაეცემა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს, რომელსაც შეუძლია წევრი სახელმწიფოსთვის ფინანსური სანქციების დაკისრება.

ავტონომიური და ერთგვაროვანი განმარტება თანამეგობრობის მთელ ტერიტორიაზე; აღნიშნული განმარტებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დებულების კონტექსტი და შესაბამისი კანონმდებლობის მიზანი (იხ., საქმე C-287/98 *Linster* [2000] ECR I-6917, პარაგრაფი 43 და საქმე C-40/01 *Ansul* [2003] ECR I-2439, პარაგრაფი 26).

[...]

47 გარდა ამისა, როგორც დირექტივის სათაურიდან, ისე მისი პრეამბულის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტებიდან გამომდინარეობს, რომ დირექტივის მიზანია მასობრივი დათხოვნის შესახებ წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობის დაახლოების ხელშეწყობა.

[...]

49 ამრიგად, დირექტივის 1(1)(a)-ელ მუხლში ნახსენები „დათხოვნის“ ცნება არ შეიძლება განიმარტოს წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაზე მითითებით, არამედ მას უნდა მიეცეს [დამოუკიდებელი] მნიშვნელობა თანამეგობრობის კანონმდებლობაში.

50 [აღნიშნული] ცნება უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ მოიცვას შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ნებისმიერი შემთხვევა, რომელიც არ იყო მოთხოვნილი დასაქმებულის მიერ და შესაბამისად, [განხორციელდა] მისი თანხმობის გარეშე. ამასთან, აუცილებელი არაა, რომ [შეწყვეტის] საფუძველად არსებული მიზეზები ასახავდეს დასაქმებულის ნებას.

[...]

53 დირექტივაში მითითებული მიზნები მხოლოდ ნაწილობრივ იქნებოდა მიღწეული, თუ დირექტივით განსაზღვრული წესებიდან გამოირიცხებოდა შრომითი ხელშეკრულების ისეთი შეწყვეტა, რომელიც განხორციელდა დასაქმებულის ნებისგან დამოუკიდებლად.

[...]

58 დირექტივის მე-2(2)(1) მუხლის თანახმად, დასაქმებულთა წარმომადგენლებთან კონსულტაციის მიზანია არა მხოლოდ მასობრივი დათხოვნის თავიდან აცილება ან დაზარალებულ დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება, არამედ, სხვა საკითხებთან ერთად, ასეთი გათავისუფლებების შედეგების შემსუბუქება თანმხლები სოციალური ზომების გამოყენებით, რომლებიც, კერძოდ, მიზნად ისახავს სამსახურიდან დათხოვნილი დასაქმებულების მხარდაჭერას ხელახალი დასაქმების ან გადამზადების გზით. დირექტივის სულისკვეთებას ეწინააღმდეგება აღნიშნული დებულების ფარგლების შევიწროება „დათხოვნის“ ცნების შეზღუდული ინტერპრეტაციით.

[...]

66 შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ პორტუგალიის რესპუბლიკამ დაარღვია დირექტივის პირველი და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებები იმით, რომ მან მასობრივი დათხოვნის ცნება შეზღუდა სტრუქტურული, ტექნოლოგიური ან ციკლური მიზეზით გათავისუფლების შემთხვევებით და აღნიშნული ცნება არ გაავრცელა გათავისუფლების ნებისმიერ შემთხვევაზე, რომელიც დაკავშირებული არ არის კონკრეტულ ინდივიდუალურ დასაქმებულთან.

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი XXX
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	საბჭოს 1998 წლის 20 ივლისის დირექტივა 98/59/EC სამსახურიდან კოლექტიური გათავისუფლების შესახებ წევრ სახელმწიფოთა კანონების დაახლოების თაობაზე

ევროკავშირის სამართლის დებულება	დირექტივის 98/59/EC 1(1)(a)-ელი მუხლი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ 49-ე მუხლი (სარეგისტრაციო კოდი: 270000000.04.001.016012; 16/04/2025 კონსოლიდირებული ვერსია)
საკვანძო ტერმინი	მასობრივი დათხოვნა
CJEU-ის პრეცედენტული სამართალი	2004 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Commission of the European Communities v Portuguese Republic, C-55/02, ECLI:EU:C:2004:605

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე. ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს.